

დროშა

გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს. ცალკე ნომერი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკა.

„დროშის“ რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან. ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОША“.

„დროშის“ ფასი პირველის მაისი- დამწლის დამლევამდე 7 მანათი.

პსიქოლოგთ თუ არა ჩვენის ბედნიერებისათვის?

თბილისი, 1 მაისი.
ღღეს საუკეთესო ნაწილი ევროპიელთ საზოგადოებისა, საუკეთესო მეცნიერნი და ეკონომისტები კაცობრიობის მისასწრაფებელ საგნად რაცხვენ საზოგადოებათა გონების, ზნეობის და ნივთიერს კეთილ-დღეობას. აკი, ან საზოგადოება, ბედნიერი მაშინ არის, როცა იგი მიიღებს ამ წმინდა საგნისადმი. თუმცა მის მისაღწევად მრავალი დახლართული და ეკლიანი გზა უნდა გაიაროს კაცმა, მრავალჯერ უნდა გამოცადოს გულის-დამწველი და შემთვრებელი ფორხილი გაუწვალდევოს გზაზე და ეკლით ფეხების დასისხლიანება; მრავალჯერ წინ შეხედება ხრამი, კლდე-ღრე, სადაც შეიძლება კისრის ტეხიბაც გადავარდეს; მაგრამ ამ გვარი ხინეთის კედლები, კლდე-ღრენი და გაუკაფელი გზა ყოველს ხალხს დახვედრია წინ თვის საგნისადმი ლტოლილობაში; მრავალს მათგანს დაუძლიერიათ ამ გვარი საფრხენი და მრავალს ღღესაც წინ უდგას; ებრძვიან და გამარჯვება, ზნეობითი გამარჯვება მაინც მათ დარჩებათ, ვინც ზნეობითი უფლებით არის აღჭურვილი და ვინცა მომავალი კაცობრიობის საუკეთესო

ნაწილი თანაგრძობით და სიყვარულით მოიხსენებს...
ღღეს ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, მკითხველო, როგორშიაც მრავალი ჩვენისთანა ხალხნი ყოფილან და ესლაც არიან. ღღეს ჩვენს საზოგადოებას, თუ კი არსებობს იგი, როგორც საზოგადოება, ჩვენს ერს ძლიერ შორსა აქვს ის საგანი, რომლის მიღწევაც ჩვენთვის სანატრელია და რომელსაც ხალხის ნამდვილს ბედნიერებას უწოდებს მეცნიერება. ამ სამერმისო საგნის მიმართ გზაზე დიდი კედელი გვაქვს აშენებული. ეს კედელია უმეცრება. მისაც იმედი არ გაჰქრობია, ვინც სასო-წარკვეთილებას არ მისცემია და უნდა ოდესმე ნამდვილს ბედნიერებას მიაღწიოს (რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს ცოდვილს ქვეყანაზე), ის უსათუოდ და მეთანხმება, რომ ეს უმეცრების კედელი უნდა გატყდეს. მაშასადამე, მანამ ვერ კედელია ასაღები, ჩვენ კედლის აღებისათვის და მისი საძირკლის გამოთხრისათვის უნდა ვიღწვოდეთ; ამაზე უნდა გვეკონდეს თვალი და ყური მიქცეული; ქალი და ვაჟი, ბერი და ერი, სწავლული და უსწავლელი თავადი და აზნაური, თვითთავი ცალკე და ყველანი ერთად თან-და-

თან თითო ორ-ორ ქვას მაინც უნდა მოავლეჯდენ ზემოხსენებულს უმეცრების კედელს. რომ ჩვენ თვალზე ბინდი არ გვეკონდეს გადაკრული, რომ თეთრი თეთრად გვეჩვენებოდეს და შავი შავად, ცხადია, რომ ყველამ — მღვდელმა და ერმა, ქალმა და ვაჟმა ერთმანეთს ხელი უნდა მივსკეთ და თუ მთლად ვერ დავამსხვრიეთ, ოდნად მაინც უნდა დავასუსტოთ ის ჯგებირი, რომელიც ადრე იქნება, თუ გვიან — უნდა ალაგდეს. ჰგებირი წინ აგვეფარება და მისს აუღებლად ვერ მივალწვეთ ერის საწადელს...
მართალია, ეს კვამარიტება არავისთვის არ არის ახალი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და უნდა გვეთქვა — მეტი აჯა არ იყო. ჩვენ ღღე-და-ღამე მოუხვეწრად უნდა გვებრძოლა, ყოველს ჩვენი ინტელიგენციის წევრს თავის ზნეობითი და გონებითი ძალა ამ იდეალის შესაგნებად და უმეცრებისადმი ბრძოლის გასამართავად უნდა დავმზადდებინა, ინტელიგენციაში ერთგულობა და ერთსულობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ ერთსულობისა და ერთგულობის ნაცვლად, რომელიც სულის უდგამს ყოველს წრეს, ყოველს საზოგადოებას, რას ვხედავთ ჩვენს მოწინავე, ოდნად მაინც გონებით შეიარაღებულს, წრეში? მართი მათგანი ღმერთს ემსახურება, ათი კი ეშმაკს, ერთი აღმა მიდის, მეორე დაღმა. ამ გვარი ერთმანეთის გაუგებლობა, ერთმანეთის სიძულილი განა შეეფერება

იმ წრის წევრთა, რომელსაც გონება სხვა-და-სხვა საუკეთესო მეცნიერების ნაწარმოებით დაუფერავს, ძმობაზე, ერთობაზე, განათლების საჭიროებაზე და მნიშვნელობაზე ბევრი უკითხავს, ბევრი უბახანია, ბევრი გაუგონია; ბევრჯერ დაუყრავს ტაში მათთვის, ვინც თავის თავი ძმათა და შეილთა გაწრთებისა და განვითარებისათვის გადასდო. საკვირველიც ეს არის, რომ ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენმა სამშობლომ დაჰბადა ზოგიერთა ისეთი შეილები, რომელთაც ხელთა აქვთ მატერიალური და გონებითი იარაღი გონების განსავითარებლად, მეცნიერების შესაგნებლად, მაგრამ ხელის დაძვრა გულზე ლახვრად ესმით.
პეილოთ თუნდ ჩვენი თავდაზნაურობა, რომელსაც თავის დროზე სიმდიდრეც ხელს უწყობდა და გარემოებაც, რომ გონების განვითარების და ცოდნის იარაღი მოეპოვებინა. ნუთუ მას არ შეეძლო ორი კვალი მიწა ემოვნა თავიანთ მამა-პაპისეულ ქალაქებში — თბილისს და ქუთაისში და სასკოლო სახლი აეგო!? საკვირველია, ღმერთმანი, როცა ერთის მხრით ჰხედავ სოფლის მცხოვრებ გლეხთ, რომელნიც სამი ოთხი წლის განმავლობაში უზარ-მაზარ თლილი ქვის ეკლესიას აგებენ ხოლმე, და მეორეს მხრით — მთელი მართლ-მანეთისა და იმერეთის თავდაზნაურობას ვერ მოუხერხებია სამოც-ოთხმოცი ყმაწვილის მოსათავსებელი კარის ყურში მოჭრილი აგურის შენობა გამართოს. მიკ-


«დროშის» ჭეღვრანი 1 მაისი.

დილა სოფელში.
მაისის დილა თენდება, იღვიძებს არე-მარეო, მარსკვლავნი ცაში ჰქრებიან, სოცადლა მოჩანს მთვარეო.
მერცხალმა ფრთები შემოჰკრა — ძამარა მორთო ცაშია, ქვლავ გაღვიძებულ ბუნებას თითქოს დაჰკრაო ტაშია.
ბულბულმა ნაზად დაჰკენესა — ხმა მისცა რუის ჩანჩქარსა, მარდი იშლება წითლად და იბერტეს ვერცხლივით ცვარსა.
მათმებმა მორთეს კაკანი და მისდგნენ ნაგვის ქექვასა, ქრუბი წიწილებს მიუძღვის — ასწავლის საქმლის კნკვასა.
მეძროხემ ძროხა გარეკა, თანაც დასძახა სიმღერა;

ხბორები ხტიან, ცელქობენ — მათ ყვეფით მისდგეს «ბოთვერა».
აგერ ძაკოც ეშურება — დაიბანა პირი, ხელი და საჩქაროდ მოამზადა ბუთნის სახნის-საკვეთელი.
«აბა, შეილო, შენც ადექი — მიამახა თავის ძოლას — მინძლო, მამა გენაცვალოს, არ მომიცდე ღღეს შენ სკოლას».
მგემაც წითლად გაანათა, ტყე და მინდორს სხივებს ესერის და სკოლაში მიმავალ ბაღლს ბუღლს უშლის და ფალერვის.
პროკისორი პატარაში და მართული ისტორიის წაბროები.
საკვირველია და ამასთანავე სამწუხაროა ის ბედის-წერა, რომელიც ჩვენის ისტორიის გამოკვლევასა სდევნის. აქ ვერ ის უნდა ვთქვათ, რომ არ

არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც მსწავლულნი დარწმუნებულნი იყვნენ, ვითომც საქართველო მეტად ღარიბი იყოს ასტორიულის მასალებით და ვითომც თუ რაიმე გვაქვს ჩვენ ამ გვარი, ისიც მახტანგ მეფისაგან სხვა და-სხვა სომხურის ხრონიკებდამ უხერხულად მიკერ-მოკერული; მაგრამ ერთმა წევრთაგანმა „აზიურის საზოგადოებისაში“, რომელიც 1822 წ. დაარსდა პარიჟში, სახელ-განთქმულმა ორიენტალისტმა სენ-მარტენმა დაარწმუნა ეს საზოგადოება, რომ საქართველო ისტორიულის წყაროებით არ არის ღარიბი, როგორც ფიქრობენ, და რომ იმათი ცნობაში მოყვანა ნათელს მოჰყვენსო აღმოსავლეთის წარსულს ცხოვრებას. ამ აზრს სენ-მარტენი ამყარებდა აქა-იქ მიმოფანტულს ევროპიულსა და განსაკუთრებით სომხურს ცნობებზე, რომელიც იმას ზედ-მიწვევით ჰქონდა შესწავლული. სენ-მარტენის წინა-დადებით ხუთიოდ წევრი საზოგადოებისა გულ-მხურვალედ შეუდგა საქართველოს ისტორიის გამოკვლევას; მაგრამ, საუბედუროდ, ისინი ყველანი მოკლე დროში დაიხილნენ;

დარჩა იმათგანი მხოლოდ ერთი მარი ბროსე, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ჩვენის ისტორიის ასპარეზზე პარიჟიდან 1837 წ. გადიტანა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. ბროსემ თავის შრომით სენ-მარტენის აზრი სრულებით გაამართლა: ბროსემ აღმოაჩინა მოულოდნელი ქართულისა და სომხურის ენებზე, სხვა-და-სხვა დროის ხრონიკები; შეეთანასწორა იგინი ევროპიულს და აზიურს წყაროებს; გამოიკვლია ადგილობრივი არხეოლოგიური ცნობები; გააცნო მეროპას წარსული საუკუნოების ნაწარმოები — მანუსკრიპტები სხვა-და-სხვა საგნებზე; განიხილა მრავალი გუჯრები, სიგელეები და სხ.
მოკვდა ბროსე (1881 წ.) და შეჩერდა ეს შესწავლა. ამ გვარ შემთხვევაში ბედის-წერა დაღ მომეტებულად ეწევა სომხობას. მეთვრამეტე საუკუნედამ, მეხიტარისტებისაგან დაწყებული, სომხურის ისტორიის შესწავლა აქამომდე არ შეწყვეტილა მეროპაში და რუსეთში. ბროსე თითქმის მართოდ-მართოდ მოღვაწეობდა და ამის გამო, რაღა საჭიროა თქმა, ერ-



ვირს, როცა ჰხედავ, რომ შუთისის ათიოდე და ოციოდე მცხოვრებ სომხებს სასახლის გვარი სასკოლო სახლი აუშენებიათ და ჩვენი თავდა-აზნაურთა ეაქნი მამასისხლად ნაქირავებ სახლში არიან, რომლის იატაკსა და ფანჯრებში ისე მოდის სიცივე და ქარი, როგორც ცხრილში წყალი. ნუთუ ოციოდე მოსახლე სომეხი უმდიდრესია მთელი შუთისისა და თბილისის თავდა-აზნაურობაზე? არა. მაგრამ... მაგრამ ის, რომ ჩვენი თავდა-აზნაურობა უთავბოლოდ მოქმედებს. ჩვენი აზნაური მხოლოდ იმასა ჰეიქრობს— დღეს რა შეესვა და შეეკამოვა; მას ჰგონია, რომ მტკიცედ ასრულებს შინსტეს სიტყვებს: «არა ზრუნავდეთ ხელოსათვის», როცა თავშიც არ მოსდის, თუ რა მომავალი მოელოს. რა ხანია, რაც მართლ-კახეთის თავდა-აზნაურობა შეუდგა სასკოლო ფულის გაწერას, მაგრამ ვინ იცის, როგორ დაბოლოვდება ამის საქმე? შესაძლებელია, რომ მრავალი შინაგანი მტერი აუტყდეს ამ ფრიად სანუგეშო საქმეს და თუ სრულიად ვერ ჩაფუშა, ცოტათი მაინც აზარალოს. ჩვენდა საუბედუროდ, ენერგიული, კეთილის მოსურნე კაცების მაგივრად, ჩვენი საზოგადოება საესეა უთაო, უფერგო და შეუგნებლებით. მსენი არც წარსულს ზოგავენ, არც მომავლისკენ იხედებიან— მხოლოდ აწმყოა მათი სანეტარო, მანამ ეს აწმყო არ გაუშვარდებათ. თუ ჩვენ ერთობის მოყვარენი ვართ და მხარის მხარში მიცემა გვიყვარს, რატომ შუთისის თავდა-აზნაურობაც არა ზრუნავს სასკოლო ფულების გაწერას და დროზე არ შეუდგება ამ ფრიად სასარგებლო და სანუკარს საქმეს.

ღიად, თუ ჩვენს ძვალსა და რბილში გამჯდარი გვექნება ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი სწავლა გააბედნიე-

რებს ხალხს, რომ ამისათვის ერთმანეთის ხელის-მიცემა და თავ-განწირულებათა საჭირო, მაშინ ხელის-შემშლელები და პირის წლაკუნით დაკმაყოფილების მრჩეველები სრულიად არ გვეყოლებოდნენ.

შინაური მართობა

== აქაურ სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან შედგენილი პროექტი შესახებ ბალოსნობის სკოლების გამართვისა მთელს რუსეთის იმპერიაში. სამინისტროს განძრახვა აქვს გამართოს ერთი უმაღლესი სკოლა შირიმში, რომდენიმე საშუალო სასწავლებელი და უფრო მდბაბალი სასწავლებლები. ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას, სხვათა შორის, უნდა წარმოეთქვა თვისი აზრი ამ პროექტზედ. სამწუხაროდ, ამ საზოგადოებამ უფრო დიდი ყურადღება მიაქცია მთელს იმპერიის სკოლებს, სანამ იმათ, რომელნიც ჩვენს ქვეყნისათვის საჭირონი არიან. როცა ამ უკანასკნელებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ზოგნი წევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ძაკვასიას უფრო ბალოსნობის საშუალო სასწავლებლები ეჭირება, სადაც მეურნეობის სხვა ნაწილებზედაც იქნება ყურადღება მიქცეულიო, მაგ. ხალხისაგან კონსერვების გაკეთებაზედ, ღვინის გაკეთებაზედ, ფუტკრის გაშენებაზედ, აბრეშუმის, თამბაქოს, ბამბის მოყვანაზედ და სხვ. ამათივე აზრით, მდბაბალი სასწავლებლების გამართვა უღროოც არის და უსარგებლოც ჩვენს ქვეყნისათვის. სხვანი კი ამ უკანასკნელ სასწავლებლებს ამჯობინებდნენ საშუალოებს და ამტკიცებდნენ მდბაბალ სასწავლებლების საჭიროებას, რომ იქილამ რიგიანი და თავიანთ საქმის მცოდნე მუშები გა-

ისტორიისას, თუ ეს აზრი ეწინააღმდეგება იმის აზრს სომხურს ისტორიაზე. ჩვენთვის ერთ-გვარ ძვირ-ფასია როგორადაც სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები: ჩვენს ფრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეავსოს: ასეც ფიქრობდნენ სენ-მარტენი და ბროსე. ამ პროგრამას არ აღვასბ. პატკანოვი. ის დასკვნის ქართულს აზრს ან უჩუმიდება, ან თუ იგი მოჰყავს, მოჰყავს გადასხვაფერებით, იმ გვარად, რომ ბინდი დასდოს მის წინააღმდეგს აზრს, ქართულს ისტორიულ წყაროს, თვით ჩვენ წინააზრთ ხსიათს.

არ იფიქროთ, რომ ჩვენ აქ პიროვნობას მივსდევთ; აი საბუთებიც:

1) მართს თავის შენიშენაში სტეფანოზ მრბელიანის ისტორიაზე ბ. პატკანოვი ამბობს და შემდეგაც იმეორებს: «ქართული ლიტერატურა ღარიბიაო ძველის წყაროებით, და თვით სტეფანოზი მე-XIII საუკ. უჩივისო ამ ნაკლულევენებას... ჩვენ ახლა ორი სხვა-და-სხვა თარგმანი გვაქვს სტეფანოზის ისტორიისა: სენ-მარტენისა და ბროსესი, რომელშიაც სტეფანოზი

მოვიდნო. თუმცა ბასმა დიდხანს გასტანა, მაგრამ ეს საქმე ვალაუწყებელი დარჩა და მეორე სხდომა ამავე საგანზედ დაინიშნა სამშაბათს, პირველი მაისისთვის.

== ზორიღამა გვეწერენ: «მე მეგონა მარტო ქალაქშია სტოლიარების უსაქმურობა-მეთქი და აქ უარესი ყოფილა.»

ამ დღეებში განგებ დავიარე აქაური ქარხნები, რომელნიც აქ პირველ ქარხნებად ითვლებიან. მხოლოდ ხუთი დაზვა იღვა სასტოლიარო და ერთიც ხარატისა, რომელზედაც მხოლოდ ერთი კაცი მუშაობდა და სამგან დაკვრებულს მდიენის ფებს ლაქს უსვამდა; ერთი პატარა ბიჭიც რალასაც სწორკნიდა და ესენი შეადგენდნენ ამ ქარხნის მომუშავეებს.

როდესაც შევედი და კითხვე— სად არიან დანარჩენი ოსტატები, რატომ არა მუშაობენ-მეთქი, ერთმა მიპასუხა, გახლავთ კი სამუშაო, რომ იმუშაონო, განა სამუშაო რომ იყვეს და ვაღიოდეს ამ სამგან გადაბმულს ფებს დაუწყებდი თხუზანსაო? წავედი მეორე ქარხანაში, რომელიც აქაურ ბულგარზედ არის (პოსელენიაში). აქაც სამ კაცს მიექციათ ზურგი დაზგებისთვის და იდგნენ უსაქმოდ. შკითხე— ჩუქურთმის საქმე ხომ არ გექნებათ-მეთქი; იმათ სიცილი დაიწყეს— ჩუქურთმისა კი არა, ხედავ სასტოლიაროც არა გვაქვსო; ყველა იმას გაიძახის, თუ იაფად არ ვაგვიკეთებთ, ქალაქში ვიყიდითო. წავედი მესამე ქარხანაში. აქ ერთი კაცი მუშაობდა და სწარხამდა აკენის იარაღს. შკითხე, როგორ ჰყიდი თითო აკენსა მეთქი? აქამდის შეიღ-რვა მანეთად ვყიდდი კი აკენს და ახლა კი ხუთ-ექვს მანეთსაც ძვირად მამდევნო, ისიც იშვიათადაო. როგორც გადავთვარი-

სწერს: «ამ ცნობებს (მრბელიანთ გვარზე) მართლის-ცხოვრება ყრუდ გვიჩვენებსო, რადგანაც ბიორგი მეფემ ამოსწყვიტა რა მრბელიანთ გვარი საქართველოში, აღმოფხვრაო იმათი სახელი ისტორიაში, ყველა სამწერლო ძეგლებში და ეკლესიებში. ჩვენ განვიხილეთო აქა-იქ გაუფანტული გადარჩენილი ნაშთები და მხოლოდ ეს მცირე რაიმე ვაოვებთო... მს სიტყვები სრულებით არ უჩვენებენ სიღარიბეს ჩვენის წყაროებისას, და ამასთანავე სტეფანოზი თავის ისტორიაში ხშირად იხსენიებს «ისტორიულ დავთრებს და სამეფო არხივებს» საქართველოსას.

2) საქართველოს, როგორც ღ. შურცელაძის ბროშიურა «Грузинские гуджары» ამტკიცებსო, გუჯრები მე-XI საუკუნეზე ადრე არა ჰქონიაო. მართი ესა, რომ სხვა უკეთესი წყაროები გუჯრებზე, რომელნიც ბროსეს ეკუთნიან, მოიპოება პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიაში. მს წყაროები უფრო ძველს გუჯრებს უჩვენებენ. მეორე ესა, რომ თვით შურცელაძისაგან ნათარგმნი გუჯარი (გვ. 120) უჩვენებს გუჯარს მდგრამ მამაკლისას, რომელიც მოკვდა 883

ლე, არც იარაღით, არცაღ, ხეარინად გაწყობილია.

== ხონში, იქაურ სამასწავლებლო სემინარიის ერთს მასწავლებელთაგანს, როგორც ვეითბრეს, უბოენია ერთი ძველი ხელ-ნაწერი სახელად „ხატება“, რომელშიაც აღწერილია თურმე ძველი სხვა და სხვა გვარი ჩვეულება ქართველებისა. იმედია, რომ მპონელი ამ შესანიშნავ წიგნს «წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნთა საცავში გამოგზავნის.

«ღ რ ო მ ბ ა» კორესპონდენცია

წინა-მხარი. (კახეთი). 20 აპრილს. ხშირად ძლიემ ხშირად «ღ რ ო მ ბ ა» ფურცლებზე იყო აწერილი, თუ ტყეების გაკაფვას რა ცუდი შედეგი მოსდევს. ბევრზე ამ წერილებმა ჟურნალის გადღენა იქონია და ტყეებს ისე დაუწყეს გაფთხილება, როგორც რიგია. მხოლოდ ეს ჩვენი დალოცვილი წინა-მხარი თავის მებატონეებითურთ არავის და არაფერს ყურს არ უდგებენ. თითქო ჯიბრში ვისმე უდგანან, რაც შეუძლიანთ, ტყეებს ანადგურებენ. წინა-მხრის მებატონეებს ისეთი ოქროს საფასი ტყე (მდ. ალაზნის ვაღმა მხარი) აქვთ, რომ თუ კი ეს რიგიანად იქნება დაცული და შენახული, შეუცდენლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იგი დიდ შემწეობას გაუწყვეს მებატონეთა ახლანდელ დაცემულ ეკონომიურ მდგომარეობას. ამას ყველა მათგანი გრძნობს, მაგრამ, საუბედუროდ, არაინ ფიქრობს ტყეების დაცვასა და რიგიან მოხმარებას. თითქმის ყველა მებატონე ისე ეპრობა ვაღმა მხრის ტყეს, თითქო საკუთრება კი არა, რომელიმე ქარელი ლევისა იყოს. ძველა ცდილობს ბლომად ბილეთების დარიგებას

წელს. თუ მიემართავთ მართლის ცხოვრებას, ამ გუჯარზედაც ბევრით აღრინდელს გუჯრებსა ვაოვებთ.

3) ტაიკი, ანუ ღაიკი, ქართულის წყაროების ტაოს-კარი ანუ ახლანდელი შორახის-ხეობა, როგორც ზოგიერთნი სომხეთის მემატინენი ამბობენ, ძველად ეკუთნოდა სომხებს. ბ. პატკანოვი ერთ შენიშენაში ამტკიცებს, ვითომც მე-X საუკუნეში ეს მხარე ქართველებს სომხეთისათვის მოეგლიჯათ. თუ ბ. პატკანოვს ისტორიულ საბუთად არ მიანია ბიზანტიის იმპერატორის ძოსტანტინე პორფიროგენის (911—959) წერილი, — ქართულ მწერლობაზე არას ვიტყვი, — რომელშიაც კოსტანტინე უჩვენებს მე-X საუკუნეზე ადრე ქართველ ბაგრატიდთ მფლობელობას შორახის-ხეობაში, საიღამაც იმათ დავყრათ კიდევ თვით მარზუმი და სხვა ნაწილები სომხეთისა, — შეუძლიან უარჰყოს მოწმობა ქართულის ეკლესიებისა და მონასტრებისა ქართულისავე წარწერებით, რომლებითაც საესე მთელი შორახის მხარე და რომელთაგანნი ზოგნი ეკუთნიან მე-VIII და მე-IX საუკუნეებს? რამდენიმე ამ

და მომეტებული წილის ტყის გაკაფვას. ამისთანა ჯიბრობა, რასაკვირველია, წარმოსდგება მართლა და სამართლიან მიზეზისაგან. ზოგიერთი დიდრონი მეპატრონეები გალმა-მხრისა არ აქცევენ ამას ყურადღებას და არცა სურთ მისი შეკრა და განწყობილების ჩამოგდება, რადგან ამითი დღევანდლური ხე-ტყით სარგებლობა მოაკლდებათ. წერილი მეპატრონეებზე დიდრონების შეხედვით აღარას დასდევნ და რაც შეუძლიანთ ბლომად ბილეთებს არიგებენ. ასე წარმოიდგინეთ, კარ-და-კარ დაიარებიან ტყის პატრონები და ისე არიგებენ ბილეთებს ნახევარ ფასად. ზღვებზეც, რასაკვირველია, სინარულით იღებენ ამ ბილეთებს, მაგრამ ხშირად კი სანაურად უხდებთ; წარმოიდგინეთ, რომ გლესს მოაქვს ხე-ტყე რომელიმე მეპატრონის ბილეთით, გზაზე უხდება სხვა ტყის მეპატრონე და ახდევინებს მეორედ ბილეთის ფასს. შეიძლება, მესამეც და მეოთხეც დაუხედეს, და გლესმა ყველანი უნდა დაკმაყოფილოს, თორემ იძულებული გახდება ნამუშევარზე ხელი აიღოს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ სიღნაღის სასამართლოში ისე დღე არ გაივლის, რომელიმე გალმა-მხრის მეპატრონეს საქმე არ გაიჩხის...

განადგურებით ისეთი უხედურება და გაჭირვება დაადგება მთელ წინა-მხარს, რომ მართლა საგრძობელი. ეს გაჭირვება უწისქვილობისაგან წარმოსდგება. რამდენიმე წლის წინად თითქმის ყველა წინა-მხრის სოფლებში ოთხი-ხუთი წისქვილი იყო და ეხლა კი ტყისავე გაკაფვის გამო წყლები დაშრა და ბევრგან წისქვილების კვალიც აღარა სჩანს. მხლა მთელი წინა-მხარი იოლად მიდის გალმა-მხრის კაბლის წისქვილებით. კაბლის წისქვილებსაც ის ბელი მოვლით, რაც წინა-მხრის სოფლების წისქვილებს მოუვიდათ. თუ გალმა-მხარი კიდევ გაუყოფელი დარჩა რამდენიმე წელიწადი, მაშინ წინა-მხრის ხალხმა უნდა ერთი ტომარა პურის დასაფეველად ოცსა და ორმოც ევრის სიზარესე იაროს. მართი სიტყვით — დრო არის წინა-მხრის მეპატრონეებმა მოიმორონ საზოგადოებრივად, მშურად გაიყონ გალმა-მხარი და მით მოიცილონ თავიდან აუცილებელი ვაი-ვაგლახი და საქმე საშვილი-შვილოდ საწყვევრად არ გაიხადონ.

გ. კახელი.

წერილი რედაქტორთან.

რასაკვირველია, მოგესხნებათ თქვენცა, რომ დღეს სოფლის კაცის ყურადღება (თითქმის მთელ საქართველოში) «ნადელების» შესყიდვაზე მიქცეული. ეს ისეთი დიდი საქმეა მართლაც, ბ. რედაქტორო, რომ ღირს საყურადღებოდ. ჩვენ დიდხანია ვაპრობობთ ამ საქმის დაბოლოვებას, მაგრამ არ ვიცით კი — როგორ და რა ნაირად დავიწყეთ. პოსტდენიკს ამაზე ვერაფერს ვკითხვთ; «აღუკანტებიც» არაფერ სანუგეშს სიტყვას ვეუბნებინ, «მომეცით წითელი ქაღალდები და საქმეს დაგბოლოვებთო»... ერთათ

313—317; Hist., la Géer., I, 450—455). ბ. პატკანოვს მთელი ეს ზღაპარი შემოაქვს თავის «მენიშენაში» და დასასრულ ამბობს: «მე. ამ შემთხვევას ვუჩვენებო, როგორათაც დასამტკიცებელს საბუთს ქართველების ჭანატკომისას». ამ გვარი საბუთები ჩვენ შეგვიძლიან სხვებიც ვუჩვენოთ ბ. პატკანოვს ქართლის ცხოვრებაში სომხების შესახებ; და თვით სომხურ ისტორიაში ჩვენს შესახებ; მაგრამ ნუ თუ იგინი უმტკიცებენ სომხის მეცნიერს ქართველობის ჭანატკობას, ანუ ქართველ მეცნიერს სომხობის ჭანატკობას? თუ ხალხის ჭანატკობის საბუთად ჩაითვლება რაიმე, არა თუ ზღაპრული თქმულება, არამედ ნამდვილი ისტორიული ფაქტი. ჩვენ მოვავგონებთ ბ. პატკანოვს ერთს სამწუხარო განაჩენს სომხურის კრების დენისას (596 წ.) ხალიდონის კრების გამო, რომელმაც სარწმუნოებით დაწმირა ერთმანეთი ქართველობა და სომხობა. ეს განაჩენი შემოტანილია პატკანოვისაგანვე რუსულად თარგმნილს კალანკატვაცის ისტორიაში, რომელიც ეკუთნის მე-IX საუკ. გასულს. «ქართველებზე, ამბობს სომხის კათა

ერთი საშუალება-ლა გვასწავლეს ზოგიერთმა პირუთენელმა კაცებმა — გაზეთის მიმართეთო და იქიდან სუყველაფერს შეგატყობინებნო. ბი ჩვენც დაიმედებულნი თქვენს ჩვენდამი სიბრალულზე და პირუთენელობაზე, ბ. რედაქტორო, მოგმართათ მოწიწებით და გთხოვთ პასუხი მოგვეცეთ ამაზე:

- 1) ნადელების საქმეზე რუსეთში არის რამე ლაპარაკი, თუ არა, ისეთი ლაპარაკი, რომელიც იმდენ გვაძლევდეს ნადელების შეღავათით შესყიდვისას?
- 2) ნადელების შესყიდვის ხარჯი მართა ჩვენია — თუ სხვაც იღებს ამაში მონაწილეობას?
- 3) და კიდევ რაც რამ ცნობები გქონდეთ ამ საქმის შესახებ, ისიც შეგვატყობინეთ თქვენი გაზეთით.

დავითით თქვენგან დაიმედებულნი ერთი ზეგო-ქართლში მცხოვრები მექამულას «გლეხია»*)

უცხოეთი.

— 10 აპრილის პრაკოვში, ერთმა ვილაც უცხოება ყმაწვილმა კაცმა განიზრახა პოლიციის შენობის აფეთქება. საქმე აი როგორა ყოფილა. პოლიციის მოხელეს იუტუნეს შეურიშნავს ვილაც ყმაწვილი კაცი, რომელიც პოლიციის შენობას გარეშემო თურმე უვლიდა და რალაცას ათვლიერებდა ფანჯრებიდან. ხელში რალაც სჭერია ამ ყმაწვილ-კაცს, მაგრამ პოლიციის მოხელეს პირველად ვერ გაურჩევია — რა

*) ამ წიგნის შესახებ ამ დღეებში მოვილაპარაკებთ.

ლიკოში აბრამი, ჩვენ ვხანეთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ იმათთან არაერთი კავშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შეიღების აღზღაში; არ ვახდენდნ მგზავრობა სალოცავად როგორათაც სახელ-განთქმულის მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიდნენ იმათთან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურებთან. მინც ამ ბმანებას უარყოფს, წყეულმცა არს იგი სულით და ხორციით და ყოვლის ცხოვრებით» (გვ. 216—217). ბი ამ გვარი ფაქტი ამტკიცებს ჭანატკობას, მაგრამ ვინას? საშლედლოს დასისას, ისიც, ჩვენის ფიქრით, მკირედის ნაწილისას, და არა მთელის დასისას. ბარემე ამ დასისა ჭანატკობას საქმე არა აქვს. ჩვენ არ ვიცით მაგალითი, რომ ოდესმე სომხობას და ქართველობას ძველებური დამოკიდებულობა ერთმანეთში შეწყვიტოს. როგორც ახლა ჩვენ სოფლებში მცხოვრებთ ორ ტომთ შორის ერთმანეთის სიძულვილი სარ

საგანი სჭერია. მოხელეს პირველად უყურადღებაც არ მიუქცევია ყმაწვილ კაცისთვის, რადგანაც ჰგონებია ვილაცა დურგლის ქარგალი, გამოგზავნილი ფანჯრის გასაკეთებლად; მაგრამ, როდესაც დაკვირებია და შეურიშნავს, რომ უცხოები ახალ-გაზდა აღელვებულნი და როგორაც საეჭვოდ დაიარება, მისულა მასთან და უკითხავს — რისთვის დაიარები აქაო? ამ კითხვაზე ყმაწვილი კაცი შეკრთა თურმე, ძირს დაავლო რალაც საგანი რომელიმე მაშინათვე საშინლად იფეთქა თურმე, პოლიციის მოხელე იქითვე გადაავლო და როდესაც გონზედ მოვიდა, ნახა, რომ ყმაწვილი კაცი გრძობა-მიხილი გლია ძირს და სისხლში მოსერილია. მოცივდენ პოლიციელნი, შეიქმნა ერთი საშინელი ალიაქოთი და განგაში და მაშინათვე მთელს ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ სოციალისტებს განძრახვა ჰქონდათ პოლიციის შენობა ეფეთქებინათ, ანუ პოლიციის უფროსი მოეკლათო. ეს ხმა მალე გამართლდა. ბამოჩნდა, რომ ის საგანი, რომელიც უცხოებს კაცს ხელში ეჭირა და გადაავლო, როდესაც პოლიციის მოხელე მივიდა მასთან, დინამიტით გატენილი ყუმბარა იყო. შმაწვილი კაცი ჯერ მკვლარი ეგონათ, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ დაქრილია და მის სიცოცხლეს არა ევნებარა. მაშინათვე გაგზავნეს საავადმყოფოში, შეუხვიეს დაქრილი ადგილები, და, როდესაც ლაპარაკი შეიძლო, სთქვა, რომ იმას უნდოდა მოკლა პოლიციის მთავარი კომისარის მოსტრევეცკისა, იმიტომ რომ ის სოციალისტებს სდევნის და ატუსაღებსო; იმის კაბინეტს დაეცემბლი, მინდოდა ყუმბარა შემეგდო, მაგრამ, როდესაც პოლიციის მოხელე მოვიდა ჩემთან, ავირე და ყუმბარა ძირს გადავავლეო. დამნაშავე აღმო-

წმუნობის გამო არ არსებობს, არ არსებობდა ძველათაც. ნუ თუ ჩვენს აზრს არ ემორწმუნა სომხეთის მისტორიეთა თქმულება, — როდესაც იგინი, მაგალ., სტეფანოზ მსოლიკი და პრის-დაგეს ლანდივერი მე-XI საუკუნეში, მათგან მდესელი მე-XII საუკ. და მარდან დიდი მე-XIII საუკ. აღტაცებით იხსენიებენ საქართველოს მეფეების მწრუნელობას სომხების კეთილდღეობაზე და იმათ ეკლესიებზე და მონასტრებზე? ამ საგანზე ჩვენ სიტყვას ვაბოლოვებთ, მაგრამ საქიროდ ეხადით ერთი რჩევა მიეცეთ როგორც ბ. პატკანოვს, აგრეთვე ახლანდელ დროის სომხის მსწავლულთა. დროა უყუავდნ მათ ის უაზრო და საიციხავი ჭრახვა, რომელსაც იგინი ყოველ შემთხვევაში იმეორებენ, ვითომც ქართველებმა დასტოვეს ქე?მარტი ალსარება და ამის გამო იგინი დაქმორდენ სომხობას.

დ. პატკანოვი.

(შემდეგი ოქნება)

ჩნდა ეილაჲ მარზაის მცხოვრებელ მალანკეიჩად; სულ ოცის წლის ქა- ბუკი თურქმა იგი.

საქართველო

(„ჩრდილოეთ საქართველო“)

28 აპრილს

კამარბუზი. ჰეტერბურგის სამხედრო ოფიცის სამჯავრომ ხელმეორედ განიხილა სტრადანოვიჩის და ტაბურეს საქმე, რომელიც ინტენდანტ როსიცკისთან ერთად იყვნენ მიცემულნი სამართალში, და გადაწყვიტა ორივეს უველა ღირსების ახდა და 15 წლით ციხიბრში საცხოვრებლად გავზავნა: სტრატანოვიჩს ტომისკის გუბერნიამი, ხოლო ტაბურეს ტომოლსკისამი.

პარლინი. სოციალისტების შესახებ კანონ-პროექტზე კენჭის ურის წინადა ვინდგორსტმა უკან წაიღო უველა თავის შესწორებანი, თუმცა ზოგიერთა ნაწილი ამ შესწორებათა მიღებულ იყვნენ კანონ-პროექტის მუხლებრივ განხილვის დროს; შემდეგ მმართველობის პროექტი მიიღო 189 ხმის უმრავლესობამ 157 ხმის წინააღმდეგ. კანონ-პროექტის სასარგებლოდ კენჭი ჰყარეს: უველა კონსერვატორებმა და ნაციონალიზმის ბერადებმა; თავისუფალ მოაზრეთაგან 25-მა კანონ-პროექტის სასარგებლოდ და დანარჩენთ წინააღმდეგ; ცენტრიდან 39-მა სასარგებლოდ და 59-მა წინააღმდეგ. კანონ-პროექტის მესამედ წაკითხვა ორშაბათს არის დანიშნული.

მანსანი. დედოფალმა წერილის ვასუხი მისწერა ლიხენგ-ჩანგს; ვასუხში დედოფალი აქებს ლიხენგ-ჩანგის აზრს, მაგრამ უბძანებს, რომ უკანასკნელმა დაიკვას ჩინეთის ღირსება და განირიონოს უოველივე სამიშროება, რომელიც იმპერიას მოეფლის.

კოსტანტინოპოლი. დიდ ვეზირად ნამყოფი მითხად-ფაშა გარდაიკვალა.

პირი. ხმები, რომ ინგლისის მთავრობას ბძანება მიეცა შეადგინოს ექსპერდიცია ხართუმში გასავზავნად.

29 აპრილს.

კამარბუზი. უოველ გუბერნიათა და მაზრათა კომისებმა დაასისტემეს თავიანთ შრომა სასამელების საქმის შესახებ და წარუდგინეს სახელმწიფო რჩევას; ამასთანავე წარადგინეს დასკვნაც ჭი-

ნანსთ სამინისტროსთან დაწესებულ საკუთარი რჩევისა.

„ერნალ დე-ს. ჰეტერბურ“ ამტყუნებს ლონდონის გაზეთების მიერ გავრცელებულს ხმებს, ვითომც რუსეთს სერასხი შეერთებინოს, და ამბობს, რომ შესაძლებელია, ეს ხმები იქიდავან წარმომდგარიყვნენ, რომ ორი სერასხი არსებობს: ერთი ახალი, რომელიც მდებარებს მდინარე თეჯენთის მარცხენა ნაპირზე და რომელიც მართლა სპარსელებს უწყურიათ, და მეორეც ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე უდაბნო გორა, რომელსაც ძველი სერასხი ეწოდება და რომელიც სპარსელებს არაოდეს არა სჯერიათ.

პარიში. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ჩინეთის ახალი ელჩი ღი-ჭონგ-ვაო და იმედი გამოუცხადა, რომ მის დანიშვნას კეთილი შედეგი ექნება ეხლანდელი განხეთქილებისათვის.

განცხადებანი

შემორჩილესად ვაცნობებ პატივცემულ თბილისის საზოგადოებას, რომ მე ვლებულობ მოსაქოვად სკამებს (პლეტონკას) როგორც ახალს აგრეთვე ძველებსაცა. ჩემი მოქოვილი სკამები არ ჩამორჩება სამზღვარ-გარედ გაკეთებულ სკამებს. შასი თითო სკამის მოქოვისა 80 კაპ. სახელოსნო იმყოფება 1-ლი ავკლის ქუჩაზე №1 ლარაძის სახლში.

სახელოსნოს პატრონი **ლ. ცხვარაძე.** (1—1)

მაისის 8-ს დღესა 1884 წ. 12 საათზედ ძონო-ველიჩნის გზის უბრაველნიე ნიშნამს ტორგს თივისას ცხენებისთვის ოც-და-თორმეტ ათასს ფუთიდან ორმოცი-ათას ფუთამდინ. მისაც სურს აღება, შეუძლიანთ ყოველდღე უბრაველინაში წაიკითხონ ამ ფორატების პირობები. (3—1)

მამვე კომიტეტი თბილისის თავდაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის უმორჩილესად სთხოვს მოხსენებულ საზოგადოების წევრთა, რომელთა შორის ირცლებიან აგრეთვე თბილისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელი, რათა მობძანდენ ჩვეულებრივ წლიურ საზოგადო კრებაზე 5 მიისს, სალამოს 6 საათზე, სააზნაურო სკოლაში, სტარო-ინსტიტუტის ქუჩაზე.

საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი:

1) მამვე კომიტეტის წლიური ანგარიში შესახებ სააზნაურო სკოლის მდგომარეობისა და

2) ბიუჯეტი მომავალი აკადემიური წლისა. (6—4)

შპალიერი

ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-დასხვა გვარი საწყობში ოდესის უაბრიკის.

ძმების ტარნაოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

ფასი იგივე, რაც ჭაბრიკაზედ 10 კაპეიკიდან მოკიდებული.

(30—1)

PAPIER RIGOLLOT
БУМАГА РИГОЛЛО
ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ
 ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ
 ВЪ ВОЕННЫХЪ ВОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛІЙСКОМЪ
 КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВѢХЪ
 Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперію
 медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте
 за **НАСТОЯЩУЮ**
БУМАГУ РИГОЛЛО
 ЛИШЬ ТУ, ЛИСТЫ КОТОРОЙ
 ИМѢЮТЪ ПОПЕРЕГЪ
 СІЮ ПОДНИСЬ
КРАСНОЮ
 КРАСКОЙ.

Продается во
 всѣхъ
аптекахъ.

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—9)

ინგლისის მალაზიაში

თმის-ამოქევიანი

მაკ-მასტერი

ამაგრებს თმს და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუპისა 2 მან., გავზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.



აქვე ისეილება ჭინის ჰამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხატკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშინი, ღუხები და სხვ.

(100—25)

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდახელ 1 მაისიდან 16 მაისამდე 1884 წ.

- გამომცხვარი პური რუსეთის ფუქილისა: — 1 გირ. 5 კ.
- აქაურის ფუქილისა: პირ.
- გელის ხარისხისა: — 1 გ. 3 კ.
- მეორისა: — 1 გ. 2 1/2
- იმავე ფუქილ. თორნეში გამომცხვარი: პირველი ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
- მეორისა: — 1 გ. 3 1/2
- მესამისა: — 1 გ. 3 კ.

- ჭვარის-მამი პური: პირველი ხარის. ღავაში 1 გ. 5 კ.
- მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 4 კ.
- მესამისა: — 1 გ. 3 1/2

- ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. 9 კ.
- მეორისა: — 1 გ. 8 კ.
- სუკი: — 1 გ. 16 კ.
- ცხვრის ხორცი — 1 გ. 11 კ.

- ღორის ხორცი: პირველის ხარისხისა — 1 გ. — კ.
- მეორისა: — 1 გ. — კ.

ჩინის ზუა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო ხამურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდან ბათუმიდან და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით.

მარტო ხამურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (შარსაკეობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)